

პრესრელიზი

იორგ მატეასი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის გენერალურ დირექტორად დაინიშნა

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის (GIEC-სსეკ) გენერალური დირექტორი იორგ მატეასი 1 მაისს, ჰოლდინგი „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა.

იორგ მატეასი 2015 წლის თებერვლიდან საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს (GIG), როგორც ჯგუფის მთავარი შვილობილი კომპანიის საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის (GIEC) ახალი გენერალური დირექტორი და GIG-ის დირექტორთა საბჭოს წევრის სტატუსით შეემატა.

იორგ მატეასი რომელიც გერმანიის მოქალაქეა, 30 წლიანი პროფესიული გამოცდილება გააჩნია ენერჯო სექტორში, ასევე კერძო სექტორში, საჯარო სამსახურში და სამეცნიერო კვლევაში. ბ-ნი მატეასი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია და თავისუფლად ფლობს გერმანულ, ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს. ბ-ნი მატეასი, რომელიც მანამდე მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში მუშაობდა, უცხო არ არის საქართველოსთვის. 2009 წლიდან 2013 წლამდე იორგ მატეასი საქართველოს წყლის და ენერჯო ბაზარზე მსხვილი კომპანიის «ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ»-ის (GWP) მთავარი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას იკავებდა. მოგვიანებით ბ-ნი მატეასი მონაწილეობდა კერძო ინვესტიციებში, მართავდა აქტივების მსხვილ პორტფელს სხვადასხვა სამრეწველო დარგში. 2009 წლამდე ბ-ნი მატეასს ეკავა გერმანიის მსხვილი ენერჯომომარაგების ჯგუფის MVV Energie AG-ის საერთაშორისო კონსულტაციის და ტექნიკური საქმიანობის მმართველი დირექტორის თანამდებობა.

01.05.15

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

